



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI



ოქმი:ლ65. 6522339001

თარიღი:05/12/2022

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
სხდომის ოქმი N 13

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 01. 12. 2022 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიძე, შოთა გორგაძე, დავით ხარბიშვილი, გელა ღვიტიძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, ლია დიასამიძე, ლანა გოგოძე, გიორგი ტყემელაშვილი, ივანე კორძაძე, მაკა ზარნაძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადგიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, ლიზა ტყემელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრიგოლ მაჭარაძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, ბიჭიკო პაიკიძე, სანდრო ხურციძე, ილია დვალაშვილი, შალვა ლორთქიფანიძე, თამარ შენგელია, თორნიკე ერისთავი, ალექსანდრე მუავანაძე, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -

ლუიზა ჯოგლიძე;

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის

მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე;**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის

სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი (პ) „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი-
გვანცა სიგუა.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის იურისტი -**გელა კაშია.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას
14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.„ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: **ივანე მამფორია**

2.„ვანის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი
აღზრდის საჯარო დაწესებულებების დაფინანსების, სასკოლო მზარობის
საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის,
მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის
საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და
მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: **გვანცა სიგუა**

3.„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის
დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: **გელა კაშია**

4.„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების
წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 8 აგვისტოს N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის
შესახებ;

მომხსენებელი: **გელა კაშია**

5.„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო
საწესდების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
ოქმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშების წესის და
სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ვანის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 სექტემბრის N22
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: **გელა კაშია**

6.„ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების
სახელმწიფოს-თვის საკუთრებაში, უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.“

მომხსენებელი: **გიორგი ივანიძე**

7.„ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში
მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო
ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო
ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხსენებელი: **ზვიად კაპანაძე**

8.სხვადასხვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით შემოსულობები განსაზღვრულია 18434,6 ათასი ლარით, ზრდა მოქმედ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 96,8 ათას ლარს. მათ შორის: საკუთარი შემოსავლები იზრდება 25,0 ათასი ლარით, გრანტები -71,8 ათასი ლარით.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით გადასახდელები განსაზღვრულია 21413,4 ათასი ლარით, ზრდა მოქმედ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 96,8 ათას ლარს. მათ შორის:

01 00- მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯები მცირდება 16,2 ათასი ლარით;

02 00- ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები მცირდება 19,4 ათასი ლარით;

03 00 - დასუფთავების ღონისძიებები იზრდება 15,0 ათასი ლარით;

04 00 - განათლების სფეროს დაფინანსება იზრდება 116,7 ათასი ლარით (საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და საბავშვო ბაღები)

05 00 - კულტურის, ახალგაზდრობის და სპორტის ღონისძიებები იზრდება 15,7 ათასი ლარით;

06 00 - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები მცირდება 8,0 ათასი ლარით;

07 00 - ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა მცირდება 7,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24

მოისმინეს :

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გვანცა სიგუამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესი (შემდგომში-წესი) განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციის, ელექტრონული რეგისტრაციის ფორმირების, მიღება-ამორიცხვისა და დაფინანსებისა წესსა და პირობებს.

წესის მიზანია, ბავშვთა სათანადო განვითარებისათვის და სკოლისათვის მოსამზადებლად ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნა. სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში აღსაზრდელთა მიღების (რეგისტრაციის), ამორიცხვის (რეგისტრაციიდან მოხსნის), ჯგუფების დაკომპლექტების, დამატებითი (შერეული) ჯგუფების შექმნის, რეგისტრაციისას გამონაკლისი საკითხების დარეგულირება. ამასთანავე, აღსაზრდელთა დაფინანსების რეგულაციების განსაზღვრა. მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მომსახურების ეფექტიანობის გაზრდა, ასევე სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვა, ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციის და მიღება-ამორიცხვის პროცესის გაუმჯობესება, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განვითარება და ადრეული და სკოლამდელი მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის გამჭვირვალე და ყველასათვის ხელმისაწვდომი პროცესის უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე;

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებით დებულების მე-6 მუხლის 24-ე პუნქტს დაემატება შემდეგი შინაარსის 24^ა ქვეპუნქტი: „უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით ამენებული ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებასთან დაკავშირებული საქმისწარმოება, სამართლებრივი აქტების მომზადება და გადაწყვეტილებების მიღება ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ. წინამდებარე ცვლილებით მერიის ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილი იქნება განახორციელოს 2007 წლამდე ნებართვის გარეშე ამენებული შენობა-ნაგებობის ლეგალიზაცია.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დადგენილება N 24

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აგვისტოს N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გარე ვაჭრობის რეგულირების წესში, კერძოდ წესის მე-5-ე მუხლის მე-4-ე პუნქტში გაპარულია მექანიკური შეცდომა. კერძოდ გარე ვაჭრობის ნებადართული საქონლის ჩამონათვალში „ი“ პუნქტად შეტანილი იქნა „სწრაფი გადახდის აპარატები“. ამ შემთხვევაში ნაგულისხმები იყო, გარე ვაჭრობისას სწრაფი გადახდის აპარატების განტავსება და არა როგორც საქონელი. ამ მექანიკური შეცდომის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარე ვაჭრობის რეგულირების წესში ამოღებულ იქნას მე-5-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე - 17

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აგვისტოს N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დადგენილება N 25

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 სექტემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, დადგენილების პირველი მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლების ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ორგანოებმა გამოიყენონ ამ დადგენილებით დამტკიცებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. 2019 წლიდან დღემდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილებები ან დაემატა მუხლები, რომლებზეც ადგილობრივი თვითმმართველობა ადგენს შესაბამის საჯარიმო ოქმებს შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ დადგენილების პირველ მუხლში აისახოს ეს მუხლები რათა კონკრეტულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე მერამ შეძლოს გამოიყენოს 2019 წელში დამტკიცებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილები პროექტს.

მომხრე – 17

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 სექტემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დადგენილება N - 26

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოს-თვის საკუთრებაში, უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოსთვის ხდება შენობა-ნაგებობების გადაცემა საექიმო ამბულატორიების გასაკეთებლად. ეს ობიექტებია:

- 1.1 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბზვანში N ს/კ 31.08.24.316.01.500 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 47.90 კვმ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი;
- 1.2 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. გადიდში N 31.20.22.086.01.500 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 17.48 კვმ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი;
- 1.3 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალომინაოში N 31.10.22.165.01.500

საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი; 35.10 კვმ ფართი და მასზე		
1.4 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძულუხში	N	31.19.21.449.01.501
საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი; 15.40 კვმ ფართი და მასზე		
1.5 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. უხუთში	N	31.12.22.199.01.500
საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი; 17.64 კვმ ფართი და მასზე		
1.6 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მთისძირში	N	31.03.30.014.01.501
საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი; 23.37 კვმ ფართი და მასზე		
1.7 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტობანიერში	N	31.04.22.105.01.500
საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი; 47.23 კვმ ფართი და მასზე		
1.8 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში	N	31.18.23.189.01.501
საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი; 26.80 კვმ ფართი და მასზე		
1.9 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში	N	31.18.23.189.01.500
საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი; 26.80 კვმ ფართი და მასზე		
1.10 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმურში	N	31.05.23.041.01.501
საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი; 32.43 კვმ ფართი და მასზე		
1.11 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუქედში	მდებარე	195 კვმ
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.15.21.460).		

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე - 17

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოს-თვის საკუთრებაში, უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.“

განკარგულება N გ-65.6522335001

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა საწყისი ფასებით;

1. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 13998 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.250), საწყისი საპრივატიზებო საფასური 14000 (თოთხმეტი ათასი) ლარი;
2. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 7579 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.293), საწყისი საპრივატიზებო საფასური 7580 (შვიდი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარი;
3. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 24457 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.303), საწყისი

- საპრივატიზებო საფასური 24460 (ოცდაოთხი ათას ოთხას სამოცი) ლარი;
4. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 2000 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.335), საწყისი საპრივატიზებო საფასური 2000 (ორი ათასი) ლარი;
5. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 8900 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.334), საწყისი საპრივატიზებო საფასური 8900 (რვა ათას ცხრაასი) ლარი;
6. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 9449 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.241), საწყისი საპრივატიზებო საფასური 9450 (ცხრა ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი,
7. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 12611 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.294), საწყისი საპრივატიზებო საფასური 12610 (თორმეტი ათას ექვსას ათი) ლარი;
8. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 6652 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.251), საწყისი საპრივატიზებო საფასური 6650 (ექვსი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი;
9. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 797 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.561), საწყისი საპრივატიზებო საფასური 800 (რვაასი) ლარი;
10. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში მდებარე 575 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.18.23.273), საწყისი საპრივატიზებო საფასური 9200 (ცხრა ათას ორასი) ლარი;
11. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში მდებარე 1846 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.18.23.274), საწყისი საპრივატიზებო საფასური 27300 (ოცდაშვიდი ათას სამასი) ლარი;
12. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდებარე 100 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.06.23.065.615), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი;
13. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდებარე 253 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.06.23.065.616), საწყისი საპრივატიზებო საფასური 2530 (ორი ათას ხუთას ოცდაათი) ლარი;
14. ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩის მეორე შესახვევში მდებარე 28 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.30.967), საწყისი საპრივატიზებო საფასური 420 (ოთხას ოცი) ლარი;
15. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმურში მდებარე 420 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა (ს/კ 31.05.23.063), საწყისი საპრივატიზებო საფასური 10800 (ათი ათას რვაასი) ლარი.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე - 17

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

